კომუნისტები—ხალხის ნაცადი ავანგარდი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 76 (13470) | კვირა, 3 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსკოვი. სკკპ XXIII ყრილობა. დელეგატები საქართველოს კომპარტიისაგან ყრილობის სხდომის დარბაზში. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საინფორმაციო ცნობა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახებ

2 აპრილს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობა.

ყრილობა განიხილავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: **ი. გ. კებინი** — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, **ა. ა. გრომიკო** — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, **ი. დ. ფილინოვა** — სკკპ ვოლსკის რაიკომის მდივანი (სარატოვის პარტიული ორგანიზაცია), **ს. პ. პავლოვი** — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენლები ამხანაგები: **მაქს რაიმანი** — გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, **ჰენრი უინსტონი** — ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ. წაიკითხეს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის ამხ. გეს ჰოლის მისასალმებელი წერილი ყრილობისადმი. ყრილობაზე გამოვიდა აგრეთვე არგენტინის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე **ვიქტორიო კოდოვილია**, რომელსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამოვიდნენ ამხანაგები: **ტ. უსუბალიევი** — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, **გ. მ. მარკოვი** — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, **ვ. ი. კონოტოპი** — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ფ. ა. ტაბეევი** — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ა. ფ. ვატჩენკო** — უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **მ. ს. სოლომენცევი** — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ საზღვარგარეთის კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენლებს ამხანაგებს: **რიჩარდ დიქსონს** — ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, **კოსტას კოლიანისს** — საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, **როდნეი არისმენდის** — ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რომლებიც ყრილობას მიესალმნენ.

ყრილობის სახელზე მისასალმებელი წერილები გამოგზავნეს ჰონდურასის კომუნისტურმა პარტიამ, დომინგოს კომუნისტურმა პარტიამ, პარაგვაის კომუნისტურმა პარტიამ, პუერტო-რიკოს მშრომელთა განთავისუფლების პარტიამ, რეიუნიონის კომუნისტურმა პარტიამ, სალვადორის კომუნისტურმა პარტიამ.

სკკპ XXIII ყრილობის სახელზე კვლავ უამრავ მისალმებას, მოლოცვასა და შრომითს პატაკებს გზავნიან სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა, მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა კოლექტივები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, სამეცნიერო დაწესებულებანი და შემოქმედებითი ორგანიზაციები, კომკავშირელები, ახალგაზრდობა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მეცნიერების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მეცნიერების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროო“:

1. **ადლეიბას** მარიამ კოწიას ასულს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სუფთაოების სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
2. **ბაინდოშვილს** ივანე ვასილის-ძეს — ხაშურის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.
3. **ბაკურიძეს** დურსუნ ოსმანის-ძეს — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის წევრს.
4. **ბაბხაძეს** ქსენია ერმილეს ასულს — საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის გაზეთ „ფოთელის გამგეს.
5. **ბაციკაძეს** სერგი არჩილის-ძეს — ქარელის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის მერგოლურს.
6. **ბეძაურს** ალექსი სიმონის-ძეს — საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივანს.
7. **ბერგაკაძს** მიხეილ ვართანის-ძეს — ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 მაზტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.
8. **ბოროდავაკს** ვასილ ვასილის-ძეს — თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელეს.
9. **ბაბაძეს** ყარამან სიმონის-ძეს — დუშეთის რაიონის სოფელ მღვეთის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს.
10. **ბამეარლიძეს** ალექსანდრა ილარიონის ასულს — ქუთაისის ამბრეშუმის კომბინატის მქსოველს.
11. **გეგელიშვილს** ალექსანდრე ვასილის-ძეს — გარდაბნის რაიონის დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს.
12. **გოგაბაშვილს** პეტრე კონსტანტინეს-ძეს — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მნგრეველს.
13. **გოგიბერიძეს** ქეთო ახმედის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის წევრს.
14. **გოგოგორიშვილს** დავით გიორგის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
15. **გოგშელიძეს** ვახტანგ ივანეს-ძეს — გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის ბრიგადირს.
16. **დოგბრონეიკინს** ლეონიდე კონსტანტინეს-ძეს — ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
17. **დოლონაძეს** გრიგოლ ივანეს-ძეს — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.
18. **დოლაბერიძეს** მიხეილ მელიტონის-ძეს — ჩაის მთავარ სპეციალისტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს.
19. **ერისთავს** კონსტანტინე დავითის-ძეს — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიისა და გემატოლოგიის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.
20. **ზაქარიაძეს** ემინე მურადის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის წევრს.
21. **თავაძეს** იულია კირილეს ასულს — ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
22. **თვალიაშვილს** ეკატერინე ნიკოლოზის ასულს — გორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს.
23. **კაკაჩიშვილს** სიმონ იაკობის-ძეს — ახალციხის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
24. **კვანტრიშვილს** არსენ შალვას-ძეს — ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის წევრს.
25. **კვეალიშვილს** ქსენია ევგენის ასულს — ხობის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
26. **ლაკიბას** ვლადიმერ ანტონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
27. **ლიუბავსკაკს** კუზმა ვასილის-ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს გვირაბგამყვანთა № 5 რაზმის ბრიგადირს.
28. **მამაიაშვილს** ნიკოლოზ პეტრეს-ძეს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
29. **მამასახლისს** ვალერიან ნესტორის-ძეს — ვანის რაიონის სოფელ დიბაშოს კოლმეურნეობის წევრს.
30. **მამინაშვილს** დიმიტრი ალექსანდრეს-ძეს — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
31. **მამულაშვილს** ვენერა ვასილის ასულს — თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირს.
32. **მაშანიშვილს** მარიამ დიანოზის ასულს — მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის წევრს.
33. **მდივანს** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროს მფლობელს.
34. **მოდებაძეს** შოთა გაბრიელის-ძეს — ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის „ბინმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.
35. **მთვარელიშვილს** ლევან ვასილის-ძეს — გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის მერგოლურს.
36. **ნაცვალაძეს** კლავდია ვასილის ასულს — მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის მერგოლურს.
37. **ოგოლაძეს** გრიშო ივანეს-ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს გვირაბგამყვანთა № 5 რაზმის ბრიგადირს.
38. **პაპინაშვილს** ვასილ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს.
39. **საბაპაეს** გიორგი ვასილის-ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირს.
40. **სამადალაშვილს** ივანე ზაქარიას-ძეს — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
41. **სამუშიას** სულიკო გერასიმეს ასულს — წალენჯიხის რაიონის თბილისის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
42. **სოხაშვილს** გარეულ ვლადიმერის-ძეს — მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს.
43. **სხულუხიას** ვინარი გრიგოლის ასულს — ზუგდიდის რაიონის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
44. **ტორსლინს** ვარდუშ ფილოს ასულს — ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაქვის კოლმეურნეობის წევრს.
45. **უგრეხელიძეს** ტარასი სერგის-ძეს — ამბროლაურის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
46. **ფანდუსიას** ამირან სოლომონის-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს.
47. **ფირცხალავას** შოთა აკაკის-ძეს — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ზეინკალს.
48. **ქაჯაიას** ვერა კონსტანტინეს ასულს — რუსთავის ქიმიური კომბინატის აზოტიანი სასუქების ქარხნის უფროს მეალაბორანტეს.
49. **ქევხიშვილს** ნიკოლოზ ალექსის-ძეს — თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის ბრიგადირს.
50. **ქემაშვილს** ვერა ბატარის ასულს — თბილისის კამვოლ-მაგდის კომბინატის ოსტატის თანაშემწეს.
51. **ყოჩიაშვილს** ნიკოლოზ სტეფანეს-ძეს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
52. **შავაძეს** გიორგი ისაკის-ძეს — თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობის წევრს.
53. **შამათავას** დოროთე პავლეს-ძეს — ცხაკაიას რაიონის ტეხურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.
54. **შენგელიას** ნათელა იონას ასულს — ჩხოროწყუს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
55. **ჩაკრიანს** ხორენ აბრამის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის ოდანავის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
56. **ჩერქეზიშვილს** ნანული გიორგის ასულს — გორის ბამბეულის კომბინატის მქსოველს.
57. **ჩიქვანაიას** მარგო ილარიონის ასულს — გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
58. **ჩხაიძეს** ლამარა ტარასის ასულს — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის წევრს.
59. **წივწივაძეს** დალი ივანეს ასულს — წულუკიძის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
60. **ჭეიშვილს** ვახტანგ ალექსის-ძეს — მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.
61. **ჭელიძეს** ვალერიან ილარიონის-ძეს — მთავართბილისმშენის ტრესტის № 10 სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადირს.
62. **ჭითანავას** გუგუშა ისიდორეს ასულს — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდი ეწარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშას.
63. **ხაზარაძეს** იოსებ გრიგოლის-ძეს — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამმართველს.
64. **ხალილოვს** ისა იბრაგიმ ოღლის — მარნეულის რაიონის სადახლოს მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს.
65. **ხარიტონაშვილს** გიორგი ვასილის-ძეს — ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს.
66. **ხვედელიანს** იაკობ რომანის-ძეს — მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორს.
67. **ხომიზურაშვილს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს — საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და ნედვენეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.
68. **ხურციძეს** ანეტა სევერიანეს ასულს — წყალტუბოს რაიონის სოფელ რითნის კოლმეურნეობის წევრს.
69. **ხუცურაულს** ვლადიმერ ალექსის-ძეს — სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის ბრიგადირს.
70. **ჯიბუტაძეს** ალექსანდრე სარდიონის-ძეს — ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი 1966 წ. 2 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლ. 2 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი, იმ მუშაკებს კი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

დაჯილდოებულთა შორის არიან სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობების, ვაჭრობის საუკეთესო მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, მეცნიერები, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაკები.

ბრძანებულებანი ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა“ და ადგილობრივ პრესაში.

გადასცეს მაღალი ჯილდოები

კრემლში 31 მარტს, 1 და 2 აპრილს სკკპ XXIII ყრილობის დელეგატთა დიდ ჯგუფს გადასცეს საბჭოთა კავშირის ორდენები და medali.

მათ შორის, ვინც მიიღო ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“ არიან მექანიზატორები, მეფოლადეები, მბურღავები, შახტიორებსა და მაღაროელის გვირაბგამყვანები, ექსკავატორისა მემანქანეები, საწარმოთა დირექტორები. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მათ მიენიჭათ მიღწეულ წარმატებებისათვის მავი მეტალურგიის განვითარების შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში.

ლენინის ორდენები, ოქროს medali „ნამგალი და ურო“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ იმ წარმატებებისათვის, რომლებიც მოიპოვეს მეცხოველეობის განვითარებაში, რძის, ხორცის, კვერცხისა და მატყლის წარმოების და დამზადების გაზრდაში, გადაიცა კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს.

დამსახურებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ბევრ ამხანაგს გადაეცა ლენინის, შრომის წითელი დროშის, „სიმამაცისა“ ორდენები, medali „შრომითი მამაცობისათვის“, და „შრომითი წარჩინებისათვის“. მათ შორის, ვინც ორდენები და medali მიიღო არიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებს მინისტრები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები, გენერლები, ადმირალები და სხვები.

დაჯილდოებულებმა მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მათი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის და პირობა მისცეს, რომ ძალღონესა და ცოდნას არ დიმშურებენ, რათა პირნათლად შეასრულონ გადაწყვეტილებანი, რომლებსაც სკკპ XXIII ყრილობა მიიღებს.

ჯილდოები გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. გ. იგნატოვმა, დ. ს. კოროტჩენკომ, ვ. ი. კოზლოვმა, ი. ს. ნასრიდინოვამ, ს. ბ. ნიაზბეკოვმა, გ. ს. ძოწენიძემ, ი. ი. პალეცკისმა, ი. ე. კალნბერზინმა, ტ. კულატოვამ, მ. ხოლოვმა, ნ. ხ. არუთინიანმა, ა. ა. მიურისეპმა მათ გულითადად მიულოცეს ამხანაგებს მაღალი ჯილდოების მიღება, უსურვეს ჯანმრთელობა, ბედნიერება, ახალი წარმატებანი შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქდესი).

მოგილოცავთ მაღალ ჯილდოს. მეგობრებო!

• სოციალისტური შრომის გმირები, სკკპ XXIII ყრილოგის დელეგატები •



ა. ბეკაური

ა. გამყრელიძე

კ. ნაცვალაძე

გ. ოგოლაძე



ა. ფანცულაია

ნ. ყოჩიაშვილი

ი. ხაზარაძე

ი. ხვედელიანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

1 აპრილის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 2 აპრილი. (საკადესი). გუშინ ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა **პ. ნ. დემიჩევი.**

ჩვენი მეცნიერების მიღწევათა პანორამა გადაშალა თავის სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **მ. ვ. კელდიშმა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერების მიღწევანი შესაძლებელი გახდა პარტიის დაუცხრომელი ხელმძღვანელობის შედეგად. ახალი მეცნიერული იდეების განხორციელება უხრუსველყო მთელი ხალხის შემოქმედებითმა მრავალმა.

ორატორმა ჩამოთვალა ჩვენი ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო მეცხიერულ-ტექნიკური მიღწევები. განსხოოციელდა ადამიანის ბოლოდროინდელ კოსმოსში. ადამიანმა პირველად გაამოიყენა თანამედროვე ტექნიკის საშუალებანი და დაიპყრა მთვარის მეორე მხარე და მთვარის ლანდშოფტი თითქოს მისი ზედაპირიდანვე გადახედა. საბჭოთა რაკეტამ პირველი პლანეტა ვენერასა. გუშინ, თქვა აკადემიკოსმა მთელი დარბაზის ტაშის გრიალში, გაშვებულია რაკეტა, რომელიც შეამოწმებს ორბიტაზე მთვარის თანამგზავრის გაყვანის სიზუსტეს.

ეარმატებებს ახალ მასალათა და ნივთიერებათა შექმნაში, თქვა შემდეგ მეცნიერმა, საფუძველად უდევს ფიზიკურ-ქიმიური პროცესებისა და მათი წარმოშობის ყოველმხრივი შესწავლა. უკვე შეიქმნა ელექტრონული ფოლადების მიღების ხერხები, რომელთა სიმტკიცე იქნება დაახლოებით 300 კილოგრამი ერთ კვადრატულ მილიმეტრზე, ოა ერთახეკვარკერ ალუმატები ჩვეულებრივი ფოლადების სიმტკიცეს. ლითონოსნებსა და არაორგანულ შენაერთთა ცალკეული მონოკრისტალების სიმტკიცე კი აღწევს 1.000 კილოგრამს ერთ კვადრატულ მილიმეტრზე.

ოსახლეთა ახალი პოლიმერული მასალების მიღების გზები, რომლებსაც ექნებათ დიდი სიმტკიცე, თერმომედეგობა, ელასტიკურობა, ხანგძლივობა. მაგრამ დიდი მიამგნეთა აქვს იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაინერგოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები პრაქტიკაში. უნდა გავაძლიეროთ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, საწარმოო პროცესების ტექნოლოგია, მასალათა დამუშაებისათვის გამოვიყენოთ მაღალი წნეებების ტექნიკა, ელექტრულის პროცესები, სხეადასხვა გამოსხივება, ხელოვნური ზეძაგრი მასალები, ფფეთების დროს შექმნილი იმპულსიური დატვირთვები, ულტრაბგერა, მაღალი მაგნიტური ველები. მეცნიერმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელსაყოფთმშენებლობის განვითარების მართვის, კავშირგაბმულობის, სასარგებლო წიაღისეულის ძიების დიდ ამოცანათა გადასაწყვეტად.

საკმარისი არ არის ელექტრონულ-გამოსთვლელი ტექნიკის ღონე და მისი დანერგვის ტემპი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, მაგრამ ამ გზაზე უკვე გადადგმულია დიდი ნაბიჯი წინ: შეიქმნა ძლავრი გამოსათვლელი მანქანები დიდი სწრაფქმქმედებით (მილიოხამდე ოპერაცია წამში).

დაწყებულ ხუთწლედში კიდევ უფრო უნდა განვითარდეს გამოსათვლელი ტექნიკა. გაცილებით უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ასეთი ტექნიკა საინჟინრო გაანგარიშებაში, წარმოების მართვაში, ახლა, ხაზი გაუსვა მეცხერმა, დასახავს ახალი შესაძლებლობანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, შეკვმნათ რთული ელექტრონული სქემები ერთ კრისტალში.

ამბ. კელდიშმა აღნიშნა საბჭოთა ფიზიკოსების კიდევ ერთი უახლესი მიღწევა. ეს არის რადიოტალღების და სიხალოლი ტალღების ბმულიდან მიმართული კონების გენერაციის პრინციპების აღმოჩენა კრისტალებისა და გაზებისატომებში ელექტრონების გორდაქმნის გზით. ეს საშუალებას გვაძლევს ბეგრად გავაფართოოთ კავშირის სიშორე და ინფორმაციულობა, ლოკაციისა და ნავიგაციის სიზუსტე. ამით, ხაზი გაუსვა მეცნიერმა, დასახავ ელექტრონიკის ელექტრების სწრაფად მოქმედების კიდევ ასეულჯერ გაფართოების პერსპექტივები. სხვის ეფექტის კონცენტრაციის შესაძლებლობა ძალიან მცირე ფართობზე ბეგრ ეფექტურ ნაწილაკებ ფიზიკა, სასიცოცხლო პროცესებია საფუძველის კვლევა, ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ლოგიკა. საყაროს შეცნობა. ბუნებისმეტყველების სწორედ ამ მიმართულებებისგან ბეგრეძლია ველოდოთ ადამიანებს, რომლებსაც მოჰყვება ბეგდგომი რევოლუციური ძვრები პრაქტიკულ ცხოვრებაში. ახლა საბჭოთა მეცნიერების ენიანე დასახულია სასალხო მეურნეობის და მისი სხვადასხვა დარგის გავითარების ოპტიმალური ტემპებისა და პროპორციების შემუშავების ამოცანები. ჩვენ უნდა ავამაღლოთ სოციალიზმის ეკონომიკის თეორიული პრობლემების კვლევის დონე, გავაძლიეროთ კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა.

მეცნიერების გავითარება, თქვა დასასრულ აკადემიკოსმა, დასახავს ახალ გზებს კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის დასაჩქარებლად.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა **რ. ი. მალინოვსკემ** შეიარაღებული ძალების საბჭოთა საბრძოლო სალამი გადასცა ყრილობის დელეგატებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ შეხედულებას ინტერნაციონალურ ურთიერთობებზე. ეს ნიშნავს, ამბობს მარშალი, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოთ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით იმპერიალისტური ძალების ბოროტებისა. ამ ბოროტებისა ბრალია, ამბობ, ეს ბოროტ ძალებს ეშინიათ, ეშინიათ ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისა, ეშინიათ ჩვენ ბედნიერ ცხოვრებისა, ეშინიათ ჩვენ ბედნიერ ცხოვრებისა. ეს ბოროტ ძალებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

(გაგრძელება)

...ოკტომბრის გაუმჯობესებასთან ერ-...ად რაიონის კომუნისტები ეძიებენ სხვა ...ზერვებსაც. კერძოდ, შესაძლებელია ...ობა გავადიდოთ ვოლგის უხაოო-...ერესი ჭალების ათვისების ხარჯზე. ეს ...ფნები გვაძლევენ საშუალოდ ჰექტარ-...ზე 37 ცენტნერამდე ფეტვის მოსავალს, 20 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, 500 ცენ-...ნერამდე სიმინდის მწვანე მასას.

ჩვენს რაიონსა და ოლქში, ამბობს და-...ასრულებ ამბ. ფილინოვა, მუშაობენ სა-...ოლქიურხეობათაშორისო სამშენებლო ...ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობას ...ორდინაციას უწევს საკოლმეურნეო-...ბათაშორისო საოლქო სამმართველო. მათი მუ-...შაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მარ-...თვის ასეთი ფორმა საშუალებას გვაძ-...ლევს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ...კოლმეურნეობათა ურთიერთობა, უფრო ...რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრი-...ვი და მატერიალურ-ტექნიკური რესურ-...სები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, ...რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას არ-...ჩევითი საკოლმეურნეო-კოოპერაციული ...ორგანოები.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა დიდი ...ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს ...თვალს პარტიის XXIII ყრილობის მუ-...შაობას. თვენახევრის შემდეგ კომკავ-...შირელები შეიკრიბებიან თავიანთ XV ...ყრილობაზე. ამ ყრილობის მუშაობაზე ...ყველაზე დიდმნიშვნელოვანი იქნება პა-...რტიის გადაწყვეტილებათა შესრულება-...ში კომკავშირელთა მრავალმილიონია-...ნი არმიის, მთელი ახალგაზრდობის აქ-...ტიური მონაწილეობის გზების ყოველ-...მხრივ განხილვა. ამაზე ილაპარაკა სკკპ XXIII ყრილობაზე სრულიად საკავშირო ...ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.** მან ...ღინიშნა, რომ ლენინური კომკავშირის საქმიანობა მიზნად ისახავს პარტიის ცენ-...ტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წლის) და შემდგომი პლენუმების ...გადაწყვეტილებათა საფუძველზე თავი-...დაიოს ფორმალიზმს, მოჩვენებითს საქმიანობას და ახალგაზრდობის ორგა-...ნიზაციისათვის დამახასიათებელი ფორ-...მებისა და მეთოდების გამოყენებით წა-...რმართოს ახალგაზრდობის ინიციატივა და ენერგია კონკრეტული და სასარგებ-...ლო საქმეებისათვის.

კომკავშირმა უფრო მეტად და პრო-...დუქტიულად უნდა იზრუნოს ახალგაზ-...რდობის კვალიფიკაციისა და ცოდნის ...ამაღლებლად, უნარიანად მოაწყოს მი-...ა დასვენება, გაუმჯობესოს ყოფაცხ-...ოვრება, და ამით ხალისიან გუნებაზე ...დააყენოს ქალაქელები და ჭაბუკები, ...ეუნერგოს უკეთ შრომის სურვილი. სა-...ეროო ჩვენი ქალაქელები და ჭაბუკე-...ბი კარგად ხედავდნენ პირადი და სა-...ზოგადოებრივი ინტერესების ურღვევ-...ი კავშირს, რათა მათ შორის არ იყვნენ ...სხვისი ხელის შემფურენი, რომელსაც ...სურთ მეტი მიიღონ საზოგადოებისაგან, ...ვიდრე თვითონ იძლევიან. ყოველნე-...ი ამისათვის საჭიროა გაძლიერდეს მუშა-...ობა თითოეულ ახალგაზრდასთან, რათა ...ამაღლდეს მისი კომუნისტური შეგნება.

ამასთანავე, განაგრძო ორატორმა, კო-...მკავშირმა მეტი სიმტკიცე და შეუპოვ-...რობა უნდა გამოიჩინოს, როცა საქმე ...შეეხება ახალგაზრდობის ინტერესებსა ...და საბჭოთა კანონებით გარანტირებულ ...უფლებებს. ჩვენ უფლება არა გვაქვს ...გაზე ვიდგეთ, როცა ცალკეული ბიუ-...როკრატები, გულგრილი ადამიანები ...უხეშად თელავენ პარტიის ბრძანებას: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველა-...ფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“, ...ამბობდა ხელოვნურ სიძნელეებს, ზღუდე-...ებს ახალგაზრდობის შემოქმედებითი ...ძრწოლის, მისი ყოველმხრივი განვითარე-...ბის შესაძლებლობებს.

ამ ბოლო დროს კომკავშირი სულ ...უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ახალ-...გაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, ...სულ უფრო აქტიურად ნერგავს მეცნი-...ერულად დასაბუთებული პროპაგანდის ...ფორმებსა და ფორმებს. სრულიად საკავშირო ...ლენინური კომკავშირის ცენტრალური ...კომიტეტის, ოცდათხუთ-...ეტ საოლქო, სამხარეო კომიტეტსა და ...ოლკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის ...ცენტრალურ კომიტეტებში სსრ კავში-...რის მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-...დიუმის ხელშეწყობით შექმნილია კონ-...კრეტული სოციოლოგიური კვლევის ...ჯგუფები. ან ლაბორატორიები. აქ ხალხა-...გადოებრივ საწყისებზე მუშაობს ასო-...ბით მეცნიერი, პედაგოგი, სოციოლოგი, ...ფსიქოლოგი, იურისტი. ფართო გამოკი-...თხვა, სოციოლოგიური კვლევა, რასაც ...სრულიად საკავშირო ლენინური ...კომიტეტი, „კომსომოლსკაია პრავდა“ ...და კომკავშირის კომიტეტები აწყობენ, ...ახალგაზრდობის სულიერი ცხოვრების ...სურათს გვიხატავს, საშუალებას გვაძ-...ლევს გამოვნახოთ იდეური ზემოქმედე-...ბის ყველაზე ეფექტური და ეფექტიანი ...საშუალებანი.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთ-...მო მოზარდებთან მუშაობას, სკოლის ...კომკავშირული და პიონერული ორგანი-...ზაციების საქმიანობას. მოსწავლეები ...მოაწილეობენ ნორჩ მეთვალჩაოსთა, ...ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა ოლიმპიადებში, ...ნორჩ კოსმონავტთა, რადიოტთა, მფრი-...ნავთა, მეზღვაურთა რაზმებში. ბევრ სა-...საზღვრო საგუშაგოში შექმნილია რაზ-...მები „მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრე-...ი“. ყველა სამხედრო ფლოტში წყნარი ...ოკეანის ფლოტის მაგალითისამებრ ახ-...ლა არის „ახალგაზრდობის ფლოტილიე-...ბი“.

ამბ. პავლოვმა გააკრიტიკა სსრ კავში-...რის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ...კინემატოგრაფიის კომიტეტი, რომელიც ...ვერ არ ადიდებს, უფრო ამცირებს ტალ-...ანტებს გამოშვებას ბავშვებისა და მო-...ზარდებისათვის.

დღემდე არა გვაქვს, თქვა ორატორმა, ...მოზარდთა აღზრდის მეცნიერულად და-...საბუთებული სისტემა, სპეციალური პე-...რიოდული გამოცემები, მათთან ყოველ-...მხრივი მუშაობის მოწყობის მატერია-...ლური შესაძლებლობანი კი ძალიან შეზ-...ღუდულია.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრა-...ლური კომიტეტის პირველი მდივანი შემ-...დეგ შეეხო იდეოლოგიურ დივერსიებს სოციალიზმის ქვეყნების ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რომლებსაც იმპერიალიზმის მსახურნი ძიმართავენ. ეგრეთწოდებული „საბჭოთოლოგიის“ უამრავ ინსტიტუტში — დასავლეთ გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში — სპეციალურად სწავლობენ სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის პრობლემებს. გამოქვეყნებული მონაცემებიდან ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იდეოლოგიურ ოს სულ ცოტა 500 მილიონი დოლარი ხმარდება წელიწადში. ეს ასჯერ მეტია, ვიდრე ჰიტლერი ხარჯავდა ამავე მიზნით მეორე მსოფლიო ომის წინ. იმპერიალიზმის მსახურნი წელებზე ფეხს იდგამენ, ოღონდ სოციალისტურ საზოგადოებაში გაავრცელონ იდეოლოგიური ინფიექცია, სიცრუე, ცილისწამება, დეზინფორმაცია. მაგრამ ჩვენს ახალგაზრდობას კარგი იმუნიტეტი აქვს. ეს პარტიისა და საბჭოთა ხალხის მეცადინეობის უდავო შედეგია.

ჩვენ კომკავშირისადმი დიდ ნდობად მიგვაჩნია, ამბობს ორატორი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება, რომ 23 წლამდე ახალგაზრდებს პარტიაში იღებდნენ მხოლოდ სრულიად საკავშირო ალკკ მეშვეობით.

ჩვენ აღვუთქვამთ ყრილობას, თქვა დასასრულ ამბ. პავლოვმა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა უარესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, შეასრულებს პარტიის ყოველგვარ დავალებას. ჩვენ ვმუშაობთ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით და ყველაზე მეტად ვამაყობთ ამით. ყოველივე საუკეთესოს, რაც ჩვენს თაობაშია, უნდა ეუმადლოდეთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები მზად არიან მთელი თავიანთი ძალ-ონით, და თუ საჭირო გახდება სიცოცხლეც შესწირონ პარტიის საქმეს. დე ხუროვის ნუ შეეპარება ეჭვი ამაში!

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჰაკს რაიმანი,** რომელსაც ტაშით შეხვდნენ, ძმურად მიესალმა XXIII ყრილობასა და მთელ საბჭოთა ხალხს.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გერმანიის იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის მიერ შექმნილი საფრთხე ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის არასოდეს არ გამმრეკენებულა ესოდენ აშკარად, როგორც ამჟამად, ხაზი გაუსვა მან. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები და მათი მთავრობა სულ უფრო ფართო მასშტაბით უჭერენ მხარს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ბინძურ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ, რომ ამის სანაცვლოდ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერენ მათს მოფხვრასს წელი დაუდრტ ატომურ იარაღში, რომლის საშუალებითაც სურთ რევანშია უყონ მეორე მსოფლიო ომის შედეგებს და დაამყარონ თავიანთი ბატონობა დასავლეთ ევროპაში.

ამ პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა ერჰარდის იგრეთწოდებული სამშვიდობო ნოტა. მისი საშუალებით, იყენებენ რა იმავე მეთოდებს, რასაც ჰიტლერის დროს, სურთ მოატყუონ ხალხები, რადგან მოთხოვნები ატომურ იარაღში წელის დადების შესახებ, საზღვრების რევიზიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციის შესახებ შენარჩუნებულია.

— ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა, — ამბობს ორატორი, — საშუალებას მოგვიცემს შევაღწიოთ დაძაბულობა ევროპაში, აღმოვფხვრათ უნდობლობა, დავამყაროთ კეთილმეზობლური ურთიერთობა და თანამშრომლობა ხალხებს შორის. ამავე დროს დაძაბულობის შენელება გააადვილებს ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოებას და საშუალებას მოგვცემს ნაბიჯი გადავდგათ წინ გაერთიანების გზაზე.

დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებისა და მათი მთავრობის აგრესიული კურსი ამწვავებს წინააღმდეგობას ამ ქვეყნის შიგნით, აწყდება მუშათა კლასისა და მოსახლეობის სხვა ფენების ზზარდ წინააღმდეგობას.

ჩვენ, კომუნისტებს, ძირითად ამოცანად მიგვაჩნია არ დავუშვათ, რომ გაჩაღდეს ახალი ომი ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ეს არის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიული ძალების დიდი პასუხისმგებლობა. ამიტომ მთელი ჩვენი პოლიტიკური მოქმედებით ცდილობთ დავანახოთ მუშათა კლასსა და მთელ მოსახლეობას, თუ რა საფრთხეს შეიცავს გერმანიის იმპერიალიზმი, დავანახოთ მშვიდობისა და ურთიერთგაგების, დემოკრატიისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის ბახხოლეელენია გზები. შევძლებთ თუ არა განვახორციელებინთ ფედერაციულ რესპუბლიკას ახალი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ეს, უეჭველეს ყოვლისა, დამოკიდებულია კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების ურთიერთგაგების მიღწევაზე.

კომპარტიის დევნისა და აკრძალვის მიუხედავად, სულ უფრო მეტი კომუნისტი აშკარად განუმარტავს მოსახლეობას ამ ალტერნატივას. ამის მეოხებით მოსახლეობის სულ უფრო მეტი ნაწილი რწმუნდება, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა შეესაბამება მის საარსებო ინტერესებს და რომ ჩვენი პარტიის აკრძალვის გაუქმება გადაუდებელი საქმეა.

ახლა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს დასახული აქვთ გადაუდებელი ამოცანა—შეთანხმდნენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების წინააღმდეგ საერთოდ ბრძოლაში ვიეტნამელი ხალხის დასახმარებლად ერთად მოქმედების შესახებ. დღეს ეს იმათი მთავარი და ყველაზე წმიდათა წმიდა მოვალეობაა, ვინც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე დგას.

დასასრულ მაქს რაიმანი ამბობს, რომ გერმანიის კომუნისტურ პარტიას, ალბერ როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ არსებული უთანხმოების მიუხედავად შესაძლებელია ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის მოქმედება ერთიანი ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის.

დარბაზში გაისმის ოვაცია. ყველანი ფეხზე ადგომით ხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დელეგაციის მეთაურს **ჰენრი უინსტონს.** ზანგი ხალხის სანელოვანი შვილი, რომელმაც მხედველობა ამერიკის სპეციალურ ბანდებში დაკარგა, ტრიბუნასთან მიპყავს მთარგმნელს. ყრილობა მზურვალედ ესალმება თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლს...

...დღეს ჰენრი უინსტონის დაბადების დღეა, — მას 55 წელი შეუსრულდა. სხდომებს შორის შესვენების დროს ლვოვის დელეგაციამ გულთბილად მიეფერა დაბადების დღე ამ მამაც ადამიანს. პარტიის ლვოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ი. ბანდროვსკიმ გადასცა მას საჩუქარი—ბროლის ლარნაკი წარწერით: „ძვირფას ამხანაგ ჰენრი უინსტონს — ჩვენს საპატიო მუშას ლვოვის ფირმა „ცისარტყელას“ კოლექტივისაგან“.

ეი როგორ დაიწყო ამბ. უინსტონთან მუშაობა მეგობრობა. სკკპ XXII ყრილობაზე ხარატმა სოციალისტური შრომა ვ. ი. გურგალმა გაიცნო ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის თვალსაჩინო მოღვაწე. შინ დაბრუნების შემდეგ მან თავის ამხანაგებს მოუთხრო ბიჭის ამბავი. ფირმა „ცისარტყელას“ ქალაშვილთა ბრიგადამ გადაწყვიტა ჰენრი უინსტონი თავის ბრიგადაში ჰიკრიცხა. და დღეს ამბ. გურგალმა სიხარულით შეასრულა თანამემამულეთა დავალება. — ჰენრი უინსტონს გადასცა კომუნისტური შრომის დამკვრელის სამკერდე ნიშანი.

...ჰენრი უინსტონმა მუშტი ასწია და ასე უპასუხა ყრილობის მისალმებას, შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დელეგაცია ამაყობს, რომ წელად ხვდა მეფსალმის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას, ამბობს იგი.

ჩვენ ჩამოვედით იმ ქვეყნიდან, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმის ბურჯია, რომლის პოლიტიკა მთლიანად ეწინააღმდეგება ისტორიის მსვლელობას, ჩამოვედით თქვენს ქვეყანაში, რომლის პოლიტიკა სავსებით შეესაბამება ისტორიის მსვლელობას, ამბობს ამბ. უინსტონი. მიუხედავად ამისა ჩვენც გვაქვს ყველა საფუძველი ვიამაყოთ იმიტომ, რომ მილიონობით ამერიკელის ნაწილს წარმოვადგენთ, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რათა შეცვალონ იმპერიალიზმის პოლიტიკა.

ჩვენი ქვეყნის მაძორველმა იმპერიალისტებმა ჩირქი მოსცხეს ამერიკელი ხალხის ამაყ ტრადიციებს თავიანთი ბარბაროსული, ბინძური აგრესიით ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ახლა, როცა თქვენთან ერთად ვსხედვართ ამ დარბაზში, მომწამვლელი ნივთიერებანი აუდაბურებენ ბრიხჯის მწვანე მინდვრებს. ნაპალში ნაცარ-ტუტად აქცევს სახლებს. ოღუპებიან ხალისიანი, მშვენიერი, შესანიშნავი ადამიანები, რომლებსაც უყვართ ცხოვრება და პატივს სცემენ სხვა ხალხების უფლებებს. დანაშაულებრივი აგრესიული მოქმედება, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები ასე თავხედურად სჩადიან ღღეს ვიეტნამში, ვეშინ ხდებოდა დომინგოს რესპუბლიკაში, ხოლო გუშინწინ — კუბის წინააღმდეგ.

ჩვენს ძვირფას ჩრდილოეთვიეტნამელ და სამხრეთვიეტნამელ ღღესა და ძმებს ვუცხადებთ, რომ მათ ბრძოლა და ჩვენი ბრძოლა ძოგვაჩინა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის ნაწილად.

კითხულობენ ამხანაგ გეს პოლის წერილს სკკპ XXIII ყრილობისადმი. „თუ საერთაშორისო მოულენთა გარეთიარების მოცემულ ეტაპზე, — ნათქვამია, კერძოდ, წერილში, — შეგვეცლებთან გამოეყოთ მთავარი ენაცეფეცა, ყველაზე კარდინალური იდეა, ყველაზე არსებითი ფაქტორი, რომლებიც ყველაზე მეტად გადამწყვეტია სოციალური პროგრესისათვის, ეს უეჭველად ერთობაა. ერთობა ბრძოლაში. მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობა, მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი ძალების ერთობა, სოციალიზმის ქვეყნების ერთობა, მთელი მსოფლიოს მარქსისტულ პარტიათა ერთობა, მუშათა კლასის ერთობა. ბრძოლის მთელი გამოცდილება, წარმატებანი და დამარცხებანი მოწმობენ, რომ საჭიროა ერთობა. ეს არის დღევანდელობის უმაღლესი მოთხოვნა. ისეთი ერთობის გამოქმედა ყველაზე რევოლუციური ამოცანაა ამ გადამწყვეტ ჟამს“.

დასასრულ ამბ. უინსტონმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საერთაშორისო მარქსისტული მოძრაობის ერთობას, ამერიკელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობას, კომუნიზმსა და მშვიდობას.

— სრულწარმატებას გისურვებთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში, — თქვა არგენტინის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ **ვიქტორიო კოდოვილამ,** რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. თქვენი წარმატებანი დიდმნიშვნელოვანი წვლილია სოციალისტური ბანაკის ერთობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობის გაძმკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხთა ბრძოლაში, მშვიდობის დაცვის საქმეში.

სკკპ XXIII ყრილობა, თქვა ორატორმა, ძაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში, ისეთ პირობებში მიმდინარეობს, რომელიც ეხება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულობა ინდოჩინეთში, ლათინურ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. ომის მთავარი კერა, რომელიც პენტაგონელმა მეკობრეებმა შექმნეს, ვიეტნამშია. ამიტომ სამართლიანი იქნება, რომ ვიეტნამთან სოლიდარობა მივიჩნიოთ დღევანდელობის ყველაზე საჭიროა ბორტო საკითხად. თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ყველა მომხრე უდიდეს მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას გმირი ვიეტნამელი მებრძოლებისადმი ყოველმხრივი დახმარებისათვის.

ჩრდილოეთამერიკელი იმპერიალისტები მოითხოვენ, რომ არგენტინის მთავრობამ ჩვენი ჯარისკაცები გაგზავნოს ვიეტნამში, რათა შეიყვანონ ისინი ინტერვენტთა ჯარების შემადგენლობაში. მაგრამ ეს ადვილი ამოცანა არ არის, რადგან მუშათა კლასი და არგენტინელი ხალხი პატივს სცემენ თავიანთ სახელოვან ტრადიციებს. მუშათა, სტუდენტთა და მთელი ჩვენი ხალხის საბრძოლო მოქმედებას შორშან ის მოჰყვა, რომ ჩაიშალა ჯარების გაგზავნა დომინგოს რესპუბლიკაში. მუშათა კლასისა და მთელი ხალხის გაერთიანებული მოქმედება ხელს შეუშლის არგენტინის ჯარების გაგზავნას ვიეტნამში.

როგორც იცით, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკა და შინაური რეაქციის აღვირახსნილი მოქმედება იწვევს წინააღმდეგობას, აძლიერებს ბრძოლას ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის. ამის ადასტურებს ასიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენციაც, რომელიც ამას წინათ გაიმართა ჰავანაში.

ვიქტორიო კოდოვილიამ დაწვრილებით დასახასიათა არგენტინის თანამედროვე მდგომარეობა, თქვა, რომ იქ კლასობრივ ბრძოლას არასოდეს არ ჰქონია ესოდენ მწვავე ხასიათი. 1965 წელს გაფიცებსა და სხვა გამოსვლებში მონაწილეობდა რვა მილიონამდე მშრომელი. მათ ფართო ბრძოლა გააჩაღეს პოლიციურ რეპრესიათა წინააღმდეგ. მშრომელები სულ უფრო ხშირად უხმაბენ ერთმანეთს ეკონომიურ ბრძოლასა და პოლიტიკური მოთხოვნებისათვის ბრძოლას. ჩვენი პარტია, განაგრძო ორატორმა, თანამიმდევრულად ახორციელებს ერთობას პოლიტიკას. ამიტომ იგი ხელს უწყობს მუშათა და ხალხთა მასობრივი მოძრაობის შექმნასა და განვითარებას, ცდილობს შეაერთოს ეს მოძრაობანი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ნაკადად.

ჩვენი გამარჯვების გარანტიად მიგვაჩნია პარტიის რიგების განუწყვეტელი ზრდა, მისი ორგანიზაციული განმტკიცება და პარტიის წევრების პოლიტიკური დონის ამაღლება. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობთ ნაცადი ლენინური მოძღვრებით პარტიისა და რევოლუციაში მისი როლის შესახებ. ჩვენ გუარეყოფთ იმ ზოგიერთი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგის ანტილენინურ შეხედულებებს, რომლებიც უარყოფენ ან ამცირებენ პარტიის როლს.

ჩვენ, არგენტინელი კომუნისტები, თქვა დასასრულ ვიქტორიო კოდოვილიამ, ბახის ეუფორი და მივესალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს აღმოფხვრას სოციალისტურ ბანაკსა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში შექმნილი უთანხმოებანი, რომელთა გამოყენებასაც ჩვენი მტრები ცდილობენ. ამ უთანხმოებათა დაძლევისა და მათი დამოუკიდებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ მოვითხოვთ მოეწყოს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ახალი საერთაშორისო თათბირი. 2 აპრილს წ

ელი მიხაკები ეკერთ ხელში ყრილობის დელეგატ ქალებს. საიდან გაჩნდა მიხაკები? ეს „სიიდუმლო“ მაშინ გამეცხადებდა, როცა თავმჯდომარემ წაიკითხა პრეზიდიუმში შემოსული ბარათი:

— ჩვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დელეგატი ქალები, უდიდეს მადლობას ვუძღვნით ფრანგ ამხანაგებს ყრილობათა სასახლეში გამოგზავნილი ყვავილებისათვის. ყველა ქალს სულითა და გულით სურს, რომ ქვეყნად იყოს მშვიდობა და მეგობრობა. დე მარად ყვაოდეს მთელ დედამიწაზე წითელი მიხაკები და ნუ რასოდეს ნუ ამოიღებენ ატომური ალი! გაუმარჯოს მშვიდობას!

ხანმოკლე შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს **ვ. ვ. გრიშინი.**

სიტყვას ამბობს ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ტ. უ. უსუბალიევი.**

— 1966 წელი — ხუთწლედის პირველი წელი, სკკპ XXIII ყრილობის წელი ჩვენი პარტიისა და ხალხის სახელოვან ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი გადამწყვეტი მიჯნა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ყირგიზი ხალხისათვის ეს წელი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ რესპუბლიკასა და ყირგიზეთის კომუნისტურ პარტიას 40 წელი უსრულდებათ.

ორატორმა გაიხსენა ერთ-ერთი რევოლუციამდელი სოციოლოგი, რომელიც ამტკიცებდა, შუა აზიის და, კერძოდ, ყირგიზეთის მოსახლეობის უწიგნურობის ლიკვიდაციას 4.600 წელი დასჭირდებაო. მაგრამ 46 საუკუნეში კი არა, ირამედ ასჯერ უფრო ჩქარა ყირგიზეთი გახდა რესპუბლიკა, სადაც ყოველ ოცდამეხუთე მცხოვრებს უმაღლესი ან საშუალო განათლება აქვს, სადაც სამეცნიერო დაწესებულებებში შრომობს ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, ათი ათას მოსახლეზე კი მოდის სამოცდათოთხმეტი ექიმი, მედიცინის და, ფერმალი.

ჩვენს რესპუბლიკაში, თქვა ამბ. უსუბალიევმა, როგორც დიდ და ერთსულოვან ოჯახში, ყირგიზებთან ერთად შრომობენ ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენელნი. კომუნისტური მშენებლობის ყოველი წელი სულ უფრო და უფრო აახლოვებს საბჭოთა მოძმე ხალხებს. ამ პროცესის მეევრმეტეყველეული მაჩვენებელია, მაგალითად, ჩვენი ხალხების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, რომელიც სულ უფრო ინტენსიურად ვითარდება. ყირგიზეთში, კერძოდ, კარგ ტრადიციად გადაიქცა მოძმე ხალხთა კულტურის სისტემატური გაცნობა. თავის მხრივ ჩვენი ხალხის კულტურას, მის ლიტერატურასა და ხელოვნებასაც სულ უფრო უკეთ ეცნობიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ყირგიზეთის ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ერთიანი სოციალისტური მეურნეობის განუყოფელი ნაწილია. ყირგიზეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია ახლა ეგზავნება საბჭოთა კავშირის ათობით უკონომიურ რაიონში. თავის მხრივ ყირგიზეთიც იღებს მრეწველობის პროდუქციისა და ნედლეულს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას უკანასკნელ შვიდ წელიწადში მეტი სახსრები მოხმარდა, ვიდრე მთელი წინა წლების განმავლობაში. ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეფართოებინა საირწყავი მიწების ფართობი, გაგვეწყლიერებინა მილიონზე მეტი ჰექტარი სანოვაგი, აგვეშენებინა მეცხოველეობის ბევრი სადგომი, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები.

ახლა ყირგიზეთის ყველა რაიონის მცხოვრებლებს შეუძლიათ ნახონ სატელევიზიო გადაცემები. სამწუხაროდ, აღნიშნა ამბ. უსუბალიევმა, სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება. წლითიწლობით გაიზრდება სასოფლო მშენებლობის მაშტაბი. უნდა გვიზრუნოთ იმისათვის, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ სოფლის მშრომელთა მოთხოვნილებანი საშენ მასალებზე.

ჩვენს დელეგაციას, თქვა ამბ. უსუბალიევმა, მარეგულირებელად მიაჩნია სკკპ წესდების დასახული ცვლილებანი. ეს წინადადებანი ოვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი. ისინი კომუნისტებმა დასახეს საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე.

— ლენინიზმმა, რევოლუციამ და პარტიამ, — ხაზგასმით აღნიშნა თავის სტატეაში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წინ, თქვა ამბ. მარკოვმა, ლიტერატორები გულისხმიერად უნდა მოეკიდონ ყველა იმ კრიტიკულ შენიშვნას, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობაზე გამოითქვა. ლიტერატურის წვლილი კომუნიზმის მშენებლობაში უნდა გადიდდეს, კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს მისი აქტივობა, იდეურ-ხელოვნური ხარისხი. ამასთან ყოველივე ეს უნდა მოხდეს არა მარტო საერთოდ და მთლიანად, არამედ თითოეულ ცალკე აღებულ ნაწარმოებთან შეფარდებერთ, რადგან უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ლიტერატურა ცალობითი წარმოებაა და სერიულ გამოშვებას ვერ იტანს.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირი ამ ბოლო დროს გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ისე ეროვნებათა ურთიერთობის გაქანებებითაც. ჩვენთან მოვიდნენ ათობით და ასობით ახალგაზრდა მწერლები. მათ შორის ბევრია ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებმაც ლიტერატურაში შეიტანეს თავიანთი საყურადღებო დაკვირვებანი კომუნისტური მშენებლობის მოწინავე უბნებიდან.

სამწუხაროდ, თქვა შემდეგ ამბ. მ. კოვმა, ზოგიერთ ... ...

მუდამ ლენინის პარტიასთან ერთად

საქართველოს მშრომელები ეცნობიან ყრილობის მასალებს და ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი პარტიის პოლიტიკას

ლენინური გზით

გუშინ დიდი გამოცოცხლება იყო თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანაში. ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები შეიკრიბნენ ამწყობ საამქროში. აქ გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მუშაობას.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. გურულმა. მან აღნიშნა, რომ სკკპ XXIII ყრილობის მუშაობას აღტაცებით ეხმაურებიან მშრომელები. სიამაყის გრძნობით არის გამსჭვალული ჩვენი სახელოვანი კოლექტივიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდი ლენინის მოძღვრების ერთგულია.

მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი დ. აბუთიძე. ორატორმა აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის მუშაობას დიდი გულისყურით შესცქერიან არა მარტო ჩვენი ქვეყნის ადამიანები, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელები. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენს პარტიას საბჭოთა ხალხი მიჰყავს უკვდავი ლენინის მიერ დასახული გზით.

შემდეგ დ. აბუთიძე ლაპარაკობს, თუ როგორი წარმატებით გაანაღდეს რაიონის საწარმოებმა შვიდწლედის ვალდებულებანი, რომელმა კოლექტივმა განსაკუთრებით ისახელა თავი, და ასახელებს მუშებს — ლენინის რაიონის მუშათა კლასის შესანიშნავ წარმომადგენლებს, რომლებმაც სიტყვა საქმედ აქციეს.

ტრიბუნაზეა ელმავალსამშენებლო ქარხნის მთავარი ტექნოლოგი მ. დოლიძე. იგი ამბობს, რომ პარტიის ყრილობით აღფრთოვანებულმა ჩვენმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა იმუშაოს რიტმულად, გააორკეცოს მიღწეული წარმატებები.

— წინასაყრილობო შრომითს ვახტზე რომ დავდექით, — ამბობს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ ჩადუნელი, —ჩვენმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა გასული თვის საწარმოო დავალება 25 მარტისათვის შეგვესრულებინა, აგვემაღლებინა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ეს ვალდებულება პირნათლად შევასრულეთ. აგრეთვე შევასრულეთ არა მარტო მარტის გეგმა, არამედ მთლიანად კვარტალის საწარმოო დავალებაც.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სატვიფრი საამქროს უფროსი ჯ. ვეფხვაძე, სექციებისა და გრაგნილების საამქროს განმხოლოებელი ე. უაჟიური, სამანქანო-სათვლელი სადგურის უფროსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1928 წლიდან შ. ნიკოლაიშვილი, ელექტროსამანქანო საამქროს უფროსი ოსტატი ვ. სუვოროვი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ღვალაძე, ქარხნის დირექტორი გ. სამხარაძე.

მიტინგის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს სკკპ XXIII ყრილობის პრეზიდიუმს.

* * *

სურათზე: მიტინგი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი პერსპექტივები

გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატო დარბაზში შეიკრიბნენ ქართველი მეცნიერები, რათა გამოეხატათ თავიანთი აღფრთოვანება პარტიის ბრძნული პოლიტიკის გამო, რომელიც ერთხელ კიდევ დასტურდება სკკპ XXIII ყრილობის მიმდინარეობისას.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა რ. დვალმა.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი.

— სკკპ XXIII ყრილობა, — ამბობს ორატორი, — დიდი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის ეს დიდი შეკრება აჯამებს ჩვენი მშობლიური პარტიის, ხალხის მიერ განვლილ გზას და სახავს ახალ პერსპექტივებს კიდევ უფრო დიდი წარმატებებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში და პარტიის სხვა ხელმძღვანელთა გამოსვლებში მკაფიოდ არის ასახული საბჭოთა კაცობრიობისა და საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს მიღწეულები და შემდგომი ამოცანები. ისინი როგორც ზუსტ, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებს უსახავენ დიდ ამოცანებს, რომ ჩვენმა ხალხმა თავის ცხოვრებასა და მუშაობაში იხელმძღვანელოს თანამედროვე მეცნიერული მონაცემებით.

სკკპ ოცდამესამე ყრილობა, — ამბობს აკადემიკოსი ო. ონიაშვილი, უდიდესი მოვლენაა მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ჩვენი პარტია ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ ამცნობს კაცობრობას, რომ თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს უხრწნელი, ნამდვილ დემოკრატიის, ადამიანური ღირებულებანი ყველა ადამიანისა, ყველა ეროვნებისა, ყველა ენისა, ყველა ფერისა, ყველა ასაკისა, ყველა ადამიანისა, ყველა ადამიანისა, ყველა ადამიანისა, ... ადამიანისა, ... ადამიანისა, ...